**საგადახდო დავალება N2**
**"14" მაისი 2013 წელი**

რეფერენსი
1928463617

გადამხდელის დასახელება: შპს სი-თი-ბი

ანგარიში (დებეტი): GE32BG0000000116660000 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს სი-თი-ბი

საიდენტ. კოდი: 204443094

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი:
სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: REPLGE22

გადახდის დანიშნულება: კონკურსი 743 ჩხარის წმინდა გიორგის სახელობის სამრეკლო

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

თანხა: 50-00

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 14.05.13

გატარებულია ბანკის მიერ: 14.05.13

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# საკონკურსო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა

## (საბანკო გარანტიის შემთხვევაში)
## FG 0146/13

ვითვალისწინებთ რა, რომ სი-თი-ბი (ს/კ: 204443094) შემდგომში "პრეტენდენტი", მზად არის წარმოადგინოს თავისი საკონკურსო წინადადება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ჩხარის ოქონის სამრეკლოს რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (კონკურსი #743) , ჩვენ სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" (შემდგომში "გარანტი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674)

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ

ვიღებთ ვალდებულებას სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში "შემსყიდველი" / "ბენეფიციარი") წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის 180 (ას ოთხმოცი ) ლარის გადახდას

შემდეგ შემთხვევებში:
1. თუ საკონკურსო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე, თავისი საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტია ძალაში რჩება 2013 წლის 14 მაისიდან 2013 წლის 15 ივლისის ჩათვლით. გარანტიის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, პრეტენზია შემსყიდველის მხრიდან აღარ მიიღება.

გარანტი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება გარანტს, გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

გარანტია გაიცემა გარანტსა და პრეტენდენტს შორის 2013 წლის 14 მაისს გაფორმებული მომსახურეობის გენერალური ხელშეკრულების №GA 155/13 საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674

ირაკლი დვალი

რისკების მართვის დირექტორი

თარიღი: 14.05.2013

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ჩხარის ოქონის სამრეკლოს

რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება



საქართველო, შპს "სი-თი-ბი"
GEORGIA "CTB" LTD
204443094

დანართი #1

ტექნიკური დავალების დანართი

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
შპს "სი-თი-ბი"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
დავით მესხი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი 0105, შ. ყავლაშვილის ქ. #2

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
ქ. თბილისი 0105, შ. ყავლაშვილის ქ. #2

საიდენტიფიკაციო კოდი:
204443094

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
2987341; 599 722846

ელექტრონული მისამართი:
dbmeskhi@yahoo.com

ბანკის კოდი:
BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში:
GE32BG0000000011666000

2. საკონკურსო წინადადების ფასი:
17150.00 (ჩვიდმეტიათასასორმოცდაათი) ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:
2013 წლის 1 ივლისამდე

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად:
არა

ხელმძღვანელის ხელმოწერა ----------------------------------------

დანართი #2

## აფიდავიტი

**საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
□ საკონკურსო წინადადების ფასი;
□ საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
□ საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
□ ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
□ შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

V გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა ____________________________________________

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

*დანართი*

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ჩხარის ოქონის სამრეკლოს რეაბილიტაცის პროექტის

<u>**ხარჯთაღრიცხვა**</u>

| № | შესასრულებელი სამუშაოები | ღირებუ-ლება |
|---|---|---|
| 1 | ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური სამუშაოები | 300 |
| 2 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | 1600 |
| 3 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევა | 1000 |
| 4 | ლაბორატორიული კვლევა გამოსაყენებელი მასალების თავსებადობაზე | 500 |
| 5 | ფოტოფიქსაცია | 5000 |
| 6 | არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვითი ნახაზების შედგენა დაზიანებების დატანით | |
| 7 | განმარტებითი ბარათის შედგენა და მეთოდოლოგიის შერჩევა | |
| 8 | ძეგლის ტექნიკური მდგომარეობის კონსტრუქციული შესწავლა და რეკომენდაციები | 600 |
| 9 | კროკების შედგენა დაზიანებების დატანით | |
| 10 | განმარტებითი ბარათი | 5200 |
| 11 | ტერიტორიის სიტუაციური და გენერალური გეგმები | |
| 12 | ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი | |
| 13 | არქიტექტურული ნახაზების შედგენა | |
| 14 | სადემონსტრაციო მასალის მომზადება | |
| 15 | კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების შედგენა | 2000 |
| 16 | ხარჯთაღრიცხვის შედგენა | 400 |
| 17 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით | 350 |
| 18 | ძეგლის სააღრიცხვო ბარათისა და პასპორტის შედგენა | 200 |
| | ჯამი | 17150* |

*ყველა სახელმწიფო გადასახადებისა და დ.ღ.გ.ს ჩათვლით

**საპროექტო სამუშაოების საერთო ჯამი** 17150 (ჩვიდმეტიათასასორმოცდაათი) ლარი

**თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ჩხარის ოქონის სამრეკლოს რეაბილიტაციის პროექტი**
**გეგმა-გრაფიკი**

| № | სამუშაოების აღწერილობა | | 1 თვე | | | | 2 თვე | | | | 3 თვე | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 კვ. | 2 კვ. | 3 კვ. | 4 კვ. | 5 კვ. | 6 კვ. | 7 კვ. | 8 კვ. | 9 კვ. | 10კვ. | 11კვ. | 12კვ. |
| 1 | ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური სამუშაოები | | | | | | | | | | | | | |
| 2 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ფოტოფიქსაცია | | | | | | | | | | | | | |
| 4 | არქ. კვლევა | განმარტებითი ბარათის შედგენა და მეთოდოლოგიის შერჩევა | | | | | | | | | | | | |
| | | არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვითი ნახაზების შედგენა დაზიანებების დატანით | | | | | | | | | | | | |
| 5 | კონსტ. კვლევა | ძეგლის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასება და რეკომენდაციები | | | | | | | | | | | | |
| | | კროკების შედგენა დაზიანებების დატანით | | | | | | | | | | | | |
| 6 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევა | | | | | | | | | | | | | |
| 7 | ლაბორატორიული კვლევა გამოსაყენებელი მასალების თავსებადობაზე | | | | | | | | | | | | | |
| | *I ეტაპის სამუშაოების ჩაბარება* | | | | | | | | | | | | | |
| 1 | არქიტექტ. ნაწილი | განმარტებითი ბარათი | | | | | | | | | | | | |
| | | ტერიტორიის სიტუაციური და გენერალური გეგმები | | | | | | | | | | | | |
| | | ტერიტორიის კეთილმოწყობის ნახაზები | | | | | | | | | | | | |
| | | არქიტექტურული ნახაზების შედგენა | | | | | | | | | | | | |
| 2 | კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების შედგენა | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ხარჯთაღრიცხვის შედგენა | | | | | | | | | | | | | |
| 4 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი გრაფიკით | | | | | | | | | | | | | |
| 5 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტის შედგენა | | | | | | | | | | | | | |
| | *II ეტაპის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარება* 4 ეგზ.+CD | | | | | | | | | | | | | |

*საპროექტო სამუშაოების დაწყება* *2013 წლის 20 ივნისი*

*საპროექტო სამუშაოების დასრულება* *2013 წლის 30 სექტემბერი*

დირექტორი დავით მესხი

საქართველო, შპს "სი-ტი-ბი" GEORGIA "CTB" LTD 204443094

## შპს "სი-თი-ბი"-ს პროფესიული გამოცდილება

### ანალოგიური პროექტები:

| | |
|---|---|
| 2012 | ქ. თბილისი, ჯავახიშვილის მოედანი №1-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; |
| 2012 | ქ. თბილისში, აბანოს ქ. №29-ში მდებარე შენობის გამაგრებითი სამუშაოები; |
| 2011 | ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქ.№9-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; |
| 2011 | ქ. თელავში ერეკლე II-ს პროსპექტზე მდებარე შენობების აზომვითი ნახაზების შედგენა; |
| 2011 | ატენის სიონის ტაძრის გამაგრებითი სამუშაოების შესრულება; |
| 2011 | ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის გამზ. №№113 და 120 მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები; |
| **2010** | ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. №22-ში სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რეაბილიტაციის პროექტი; |
| **2010** | ქ. თელავის ელ. ახვლედიანის სახ. სამხატვრო სკოლის. გამაგრებიდი სამუშაოები |

# CV

| | | |
|---|---|---|
| სახელი, გვარი | | რუსუდან გურამიშვილი |
| განათლება | 1962-1968 | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით არქიტექტურა |
| პროფესიული გამოცდილება | 1968-1979 | საპროექტო ინსტიტუტი "საქსოფლმშენპროექტი – არქიტექტორი |
| | 1979-1981 | საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპ"-ი პროექტის მთავარი არქიტექტორი |
| | 1981-2005 | ძეგლთა დაცვის სისტემაში რიგითი არქიტექტორ-რესტავრატორიდან წამყვან არქიტექტორ-რესტავრატორამდე |

1981-2004

*ერეკლე მეფის აბანო ქ. თელავში *მღვირევის სამონასტრო კომპლექსი ქ. ჭიათურაში *სოფ. დარკვეთის "წმ. გიორგის" ეკლესია ჭიათურის რაიონში *სოფ. ალავერდის "ღვთისმშობლის" ეკლესია ზესტაფონის რაიონში *სოფ. გვიშტიბის "წ, გიორგის" ეკლესია წყალტუბოს რაიონში *"როსტომ მეფის აბანო" თბილისში *წერაქვის სამონ ასტრო კომპლექსი მარნეულის რაიონში * ქარვასლა და მცირე ეკლესია ნინოწმინდის რაიონის სოფ. ფარავანში *"წმინდა ბარბალეს" ეკლესია ახალციხის რაიონის სოფ. ხეოთში *აბასთუმნის ხიდი * მესტიის რაიონის სოფლების სვიფის, ფხოტრერის, ლაღამის ეკლესიები *ჯავახეთის ახალქალაქის ციხე *ნგრევის შედეგების საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ვარძიაში *კონცეფცია ვარძიაში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ * ბერების საცხოვრებელი სახლი (ახალი ნაგებობა) გრემის ნაქალაქარის ტერიტორიაზე *საფარის "წ. საბას" ტაძრის კანკელი ახალციხის რაიონში * რკონის წ. სვიმეონ მესვეტის კოშკი-ეკლესიით

# C u r r i c u l u m   V i t a e

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი: | თამარ ნემსაძე |
| მისამართი: | თბილისი, ს.ჩიქოვანის ქ. №24ა, ბ.56 |
| ტელეფონი: | 33 78 06, 899 11 44 78 |
| დაბადების თარიღი: | 1.01.1935 |
| დაბადების ადგილი: | ქ. თბილისი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე<br>პირადობის მოწმობის № ბ1117259<br>პირადი № 01008021885 |
| განათლება: | 1953-1959 თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი<br>სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით არქიტექტურა |
| ენები: | ქართული<br>რუსული |
| პროფესიული გამოცდილება: | 2006-2010 - საქ.საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრი – არქიტ.რესტავრატორი, სამეცნიერო საბჭოს წევრი<br><br>1997-2006 - ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი, №1 სახელოსნოს უფროსი. სამეცნიერო ხელმძღვანელი<br><br>1990-1997 - საპროექტო ინსტიტუტი "საქრესტავრაცია" პროექტის მთავარი არქიტექტორი – ჯგუფის ხელმძღვანელი<br><br>1981-1990 - სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება, II საპროექტო განყოფილების უფროსი<br><br>1978-1981 – ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო – პროექტის მთავარი არქიტექტორი<br><br>1966-1978 – სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნო – არქიტ. რესტავრატორი – ჯგუფის ხელმძღვანელი<br><br>1964-1966 – სოფლმშენსახპროექტი – უფრ. არქიტექტორი<br><br>1961-1964 – თბილქალაქპროექტი – არქიტექტორი<br><br>1959-1961 – კეთილმოწყობის სამმართველო - არქიტექტორი |

| | |
|---|---|
| ძეგლების რეაბილიტაციის პროექტირების გამოცდილება. განხორციელებული პროექტები | ასპინძის რ-ნი:<br><br>1. ზედა ვარძია - X-XIს<br>2. ხვალიშა. ეკლესია – VIII-IXს<br>3. აგარა. (ყიზილ-დერესი) ეკლესია – VIII-IXს<br>4. გავეთი. წმ გიორგის ეკლესია – XIVს<br>5. დუმეილა. ეკლესია – VIIIს<br>6. ალანძია. ეკლესია – VIIIს<br>7. ვანის ქვაბების მცირე ეკლესია – Xს<br>8. ახჩია. ეკლესია – Xს<br>9. ფია. ეკლესია - Xს<br>10. ვარძია. სატრაპეზო, გამოქვაბულები ეკლესიასთან, გამაგრებითი და კეთილმოწყობითი სამუშაოები.<br>11. ვარძია. სტიქიური ნგრევის შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება – ხელმძღვანელობა.<br>12. სოფ. თოკის ეკლესია სტელებით. XIVს.<br>13. ობოლეთი. ეკლესია. Xს.<br><br><u>ახალქალაქი. ნინოწმინდის რ-ნი</u><br><br>14. ხოსპიოს ეკლესია – Xს<br>15. ხოსპიოს ეკლესია – XIVს<br>16. კუმურდო – Xს. ნაწილობრივი აღდგენითი სამუშაოები: გუმბათქვეშა თაღებისა და გუმბათის სარტყელის აღდგენა, მკლავების გადახურვები.<br>17. ბურნაშეთი. ეკლესია – Xს<br>18. როდიონოვკა (ფარავნა). ეკლესია – Xს<br>19. ფოკა. წმ. ნინოს ეკლესია – Xს<br>20. პრტენა. დარბაზული ეკლესია – Xს.<br><br><u>ახალციხის რ-ნი</u><br><br>21. საფარის სამონასტრო კომპლექსი<br>ა) საბა წმინდა. გუმბათიანი ტაძარი XIII-XIVს<br>ბ) ღვთისშობლის მიძინების ეკლესია – Xს<br>გ) წმ. გიორგის ეკლესია – XIVს<br>დ) იოანე ოქროპირის ეკლესია, მცირე სამლოცველოები – X-XIVსს-ები<br>22. ხეოთის კომპლექსი. ეკლესია VIII-Xს. სამრეკლო XVIს. საკონსერვაციო-აღდგენითი სამუშაოები |

| | |
|---|---|
| ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატები, აზომვა, პროექტირება, განხორციელება თბილისის მუზეუმში. | 23. ახალციხე. რაბათი. "ციხის-კარი" – ვიადუკი<br>24. საყუნეთი. სამრეკლო.<br>25. ანდრიაწმინდა. ეკლესია – XI ს<br><br><u>სვანეთი</u><br><br>26. ფარის თემი. სოფ. სვიფი. ეკლესია "ჯგრაგ" – XI ს<br>27. ეცერი. სოფ. ფხოტიერი. მთავარანგელოზის ეკლესია "თარინგზელ" – XI ს<br>28. მესტია. დადამი. "მაცხვარიში" – X-XIV ს<br>29. კოშკები. საცხ. კომპლექსები და სხვ...<br><br><u>კახეთი</u><br><br>30. ვეჯინი. ყველაწმინდის გუმბათიანი ეკლესია – XVI ს<br>31. ყვარელის ცრაკარა – X ს.<br>32. ყვარელის სამება – X ს<br>33. „გუმბათიანი საყდარი" კურტანაძეულების ხევში – X ს<br>34. დავით-გარეჯა. ლავრა. საცხოვრებელი კოშკი გალერეით.<br><br><u>ქართლი</u><br><br>35. ატენის სიონი. სუბსტრუქციის სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები.<br>36. რკონის სამონასტრო კომპლექსი<br>ა) ბაზილიკა<br>ბ) ნათლისმცემლის ეკლესია<br>გ) სამრეკლო<br>დ) სატრაპეზო<br>37. დარბაზი სოფ. ჭაჭკრიდან.<br>38. სოფ. მარანი. ოდა-სახლი<br>39. სოფ. მოისძირი – ოდა-სახლი<br>40. სოფ. წითელი მთა – ოდა-სახლი<br>41. სოფ. ტოლა – საცხ. სახლი<br>42. სვანური კოშკი<br>43. სამზადი სახლები, ნალიები და სხვ... |
| გამოქვეყნებული სტატიები: | 1. ძეგლის მეგობარი №17 1968წ. – ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირველი ფორმის დადგენის ცდა; |

| | |
|---|---|
| | 2. “—” №25 1971 – დარბაზი სოფ. ჭაჭკრიდან<br><br>3. “—” №58 1979 – ძეგლის აღდგენის ერთი მაგალითი<br><br>4. “—” №60 1982 – “გუმბათიდან საყდარზე” ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ<br><br>5. “—” №4 1987 – აგარა-ყიზილდერესი. სარესტავრაციო სამუშაოები<br><br>6. “—” №2 1993 – ხოსპიოს ეკლესია |
| შრომები: | • კონცეფცია ვარძიის სამონასტრო ანსამბლზე ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ – 2002წ<br><br>• ვარძია. აღმოსავლეთი გვირაბის მდგომარეობის აღწერა და სარეაბილიტაციო სამუშაოები – 2005წ<br><br>• ვარძიისა და მისი შემოგარენის დაცვისა და მდგრადი განვითარების კონცეფცია – 2002წ<br><br>• ტურიზმის განვითარების კონცეფცია მტკვრის ზედა წელის (ხერთვისი-ვარძია) არეალში – 2002წ<br><br>• ვარძიისა და მისი შემოგარენის დაცვითი ზონა – 2001წ<br><br>• დირბის ღვთისმშობლის სახ. მონასტრის ისტორიული ნაგებობების აღდგენისა და პერსპექტიული განვითარების კონცეფცია – 2004წ |

**CURRICULUM
VITAE**

**გიორგი
ბაგრატიონი**

**გვარი:** ბაგრატიონი

**სახელი:** გიორგი

**დაბადების ადგილი და თარიღი:** ქ. თბილისი 1962 წ. 19 ივლისი

**ეროვნება:** ქართველი

**მისამართი:** ქ. თბილისი. ს. ჩიქოვანის ქ. №20 ბ.49

**განათლება:** 1969-1979 წწ. ქ. თბილისის №53-ე საშ. სკოლა

1979-1984 წწ. სპი არქიტექტურის ფაკ-ტი არქიტექტორის სპეციალობით.

1980-1983 წწ. სპი მეორადი ფაკ-ტი. ექსკურსიამძღოლისა და ტურიზმის ორგანიზატორის სპეციალობით.

1989-1992 წწ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი.

**ენების ცოდნა:** რუსული – ძალიან კარგად

ინგლისური – კარგად

**ძირითადი საქმიანობა:** გამომცემლობა „ნეკერი“. დიზაინერ-დამკაბადონებელი, მენეჯერი. კავშირი – „სუნტნი“ – აქტიური ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ჯგუფის – თავმჯდომარე

**პედაგოგიური მოღვაწეობა:** 1993-1996 წწ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ კურსი

1994-1996 წწ. სასულიერო აკადემიაში „არქიტექტურა და რესტავრაციის შესავალი“.

**მუშაობის გამოცდილება:** 1984-1988 წწ. „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორი.

1983-1989 წწ. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმში, სპელეისტიკის განყოფილებაში არქიტექტორად.

1986-1997 წწ. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ადაპტაციის განყოფილებაში არქიტექტორად.

1988-2007 წწ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ძეგლთა აღნუსხვის განყოფილების თანამშრომელი.

1997-1998 წწ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. მთავარი სპეციალისტი.

1992-2010 წწ. გამომცემლობა „ნეკერი“, დიზაინერი, მენეჯერი.

1997-2010 წწ. გამომცემლობა „დიოგენე“, დიზაინერი.

2004-2006 წ. პროექტი „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“, დირექტორი.

2008წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, მთავარი სპეციალისტი.

2009-2010 წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი,

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგამომცემლო საქმიანობის დეპარტამენტი, გამომცემლობის მთავარი მენეჯერი.

**პროფესიული მოღვაწეობა:** 1983-1986 წწ. ქცია-ხრამის სპელეისტიკურ ექსპედიციაში რეგიონის ძეგლების ნაზომები

1985-1987 წწ. დავით გარეჯას „ნათლისმცემლის“ კომპლექსის აზომვა.

1987 წწ. „კონდამიანის“ კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის აზომვა.

1987 წწ. კასპის რაიონის კლდეში ნაკვეთი ძეგლების აზომვა.

1986-1988 წწ. სპორტსკოლა ღრმაღელეში. მუშა პროექტი.

1986-1987 წწ. ქ.საჩხერე. პაპუნა წერეთლის სასახლის რესტავრაცია- ადაპტაციის მუშა პროექტი.

1988 წ. ქ. საჩხერე. საბჭოს (წმ. ნინოს) ქ. № 76, 78/80 და 84 საცხ. სახლების რესტავრაცია-ადაპტაციის მუშა პროექტი.

1988-1989 წწ. ყაზბეგის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის II ტომისათვის.

1989-1990 წწ. დუშეთის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის II ტომისათვის.

1989-1990 წწ. თავკავთის კომპლექსის აზომვა-ფიქსაცია.

1989-1990 წ. დავით გარეჯას „დოდოს“ კომპლექსის აზომვა.

1990 წ. ქ. საჩხერე. საბჭოს (წმ. ნინოს) საცხ. შახლების რესტავრაცია- ადაპტაციის მუშა პროექტები.

1990 წ. სოფ. სასირეთი. გიორგი მაზნიაშვილის სახლის რესტავრაცია- ადაპტაციის მუშა პროექტი.

1990-1991 წწ. თიანეთის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის II ტომისათვის.

1990-1991 წწ. ლაგოდეხის რ-ნის ძეგლთა აღნუსხვა და ფიქსაცია ძეგლთა ნუსხის III ტომისათვის.

1991 წ. მიწისძვრის შემდგომი სურათის დასადგენად ონისა და ამბროლაურის ძეგლების აღნუსხვა და ფიქსაცია.

1992 წ. ქ. თბილისი. შავთელის ქ. №22. საცხ. სახლის არქიტექტურულ- არქეოლოგიური ანაზომი.

1992 წ. ქ. თბილისი. მაყაშვილის ქ. №10. საცხ. სახლის კარფანჯრების გისოსების მუშა პროექტი.

1992 წ. სოფ. მეჯვრისხევი. ლუარსაბ ერისთავის სასახლის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.

1992 წ. ჯავახეთის ზეგანის ძეგლების აღნუსხვა-ფიქსაცია.

1993 წ. ქვემო ქართლის რეგიონის ძეგლების აღნუსხვაფიქსაცია.

1993-1997 წწ. ქართული კომპიუტერული შრიფტების შექმნა.

1994 წ. გ. ჩუბინაშვილის ფონდის მიერ თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში) მოწყობილ ექსპედიციაში ქართული ძეგლების ანაზომები.

1995 წ. გ. ჩუბინაშვილის ფონდის მიერ თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში) მოწყობილ II ექსპედიციაში ქართული ძეგლების ანაზომები.

1995 წ. სოფ. მეჯვრისხევი. ერისთავების სასახლის რესტავრაცია- ადაპტაციის პროექტი.

1995-1996 წწ. ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს გულის ქირურგიის განყოფილების ინტერიერის პროექტი.

1996 წ. ტაო-კლარჯეთში 1994-1995 წლებში მოწყობილი ექსპედიციების გრაფი- კული მასალის ექსპოზიცია თანამედროვე ხელოვნების ცენტრში.

1996 წ. ჯაფარიძეების მემორიალის პროექტი ვერეს ბაღში.

1996 წ. ყაზბეგის, დუშეთის, ახმეტის და თიანეთის რ-ბის ისტორიულ არქიტექტურული რუკების შედგენა კომპიუტერზე.

1996 წ. საქართველოს ფიზიკური და რეგიონალური რუკების, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გეგმების შეყვანა-დამუშავება სამეცნიერო კომპიუტერული პროგრამისთვის კომპაქტ დისკზე –

„საქართველოს არქიტექტურა“.

1996-1997 წწ. „ფილიპსის“ ცენტრის პროექტი ბარათაშვილის ქ.-ზე.

1996-1997 წწ. სუპერმარკეტის პროექტი თავისუფლების მოედანზე.

2002 წ. დიუმას ქუჩის სამი საცხოვრებელი სახლის ანაზომთა პროექტი.

2004 წ. მარიონეტების თეატრის ანაზომები და განახლების (სასტუმრო + თეატრი) პროექტი

2005 წ. დაზვერვითი ექსპედიცია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში (თურქეთი). ოლთისის და ფოცხოვის მხარე.

2004-2006 წწ. სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები (არქიტექტურის და ბუნების ძეგლთა აღწერა, ფოტოფიქსაცია და ზუსტი გეოკოორდი-ნატების დადგენა) პროექტისთვის „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“:

1. დმანისის რაიონი
2. ყაზბეგის რაიონი
3. ხევსურეთი
4. ფშავი და ზედა მთიულეთი
5. თუშეთი
6. თეძმის ხეობა
7. წალკის რაიონი
8. ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონები
9. ქვემო მთიულეთი
10. ქსნის ხეობა
11. თიანეთის რაიონი
12. ახმეტის რაიონი
13. თელავის რაიონი

14. გურჯაანის რაიონი
15. დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონები
16. დავით-გარეჯა
17. მცხეთის რაიონი
18. კასპის რაიონი
19. ხაშურის რაიონი
20. ქარელის რაიონი
21. გორის რაიონი
22. თეთრიწყაროს რაიონი
23. ბოლნისის რაიონი
24. მარნეულის და გარდაბნის რაიონები
25. თბილისი და თბილისის მიდამოები

2007 წ. „ტაო-კლარჯეთის ვირტუალური მუზეუმი" – სამეცნიერო ექსპედიცია და ვებ-გვერდის მომზადება (უნესკო-ს პროექტი).

2007 წ. ქვემო სვანეთის ჭედური ხატების შემსწავლელი ექსპედიცია.

2007 წ. XIX-XX სს. ბერძნული კულტურის კვალი საქართველოში. ექსპედიციები წალკის და თეთრიწყაროს რაიონებში.

2008 წ. ადრექრისტიანული რელიეფების შემსწავლელი ექსპედიცია ბოლნისის რაიონში.

2009 წ. დაზვერვითი ექსპედიცია ისტორიულ მნაში (ყაზბეგის რ-ნი).

2009 წ. დაბა მესტიის ისტორიული უბნის ლანჩვალის ისტორიულ- არქიტექტურული რეაბილიტაციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

2010 წ. ამბროლაურის „მაჩაბლების კოშკის" რესტავრაციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

2009 წ. დაბა მესტიის ისტორიული უბნის ლანჩვალის ისტორიულ- არქიტექტურული რეაბილიტაციის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

2009-2010 წწ. აღმაშენებლის გამზ. ფასადების სარესტავრაციო პროექტის აზომვითი სამუშაოების შესრულება.

1999-2004 წწ. გაეროს ბავშვთა ფონდის 20-მდე პუბლიკაციის დიზაინი და დაკაბადონება.

2008 წ. ჟურნალ „მასწავლებელი"-ს (1-4 ნომრები) დიზაინი და დაკაბადონება.

1992-2010 წწ. გამომცემლობა „ნეკერი", 300-მდე პუბლიკაციის დიზაინი და დაკაბადონება.

1997-2010 წწ. გამომცემლობა „დიოგენე", 50-მდე პუბლიკაციის დიზაინი და დაკაბადონება.

2009-2010 წ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წიგნების (10 –მდე) დიზაინი და დაკაბადონება.

2010 წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაზვერვითი ექსპედიცია კოჯრის კაბენზე.

2009-2010 წ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგამომცემლო საქმიანობის დეპარტამენტში მოზადებული და გამოცემული მაქვს 28 წიგნი, 2 სამეცნიერო ბიულეტენი, 2 საიუბილეო ფოტო ალბომი და სხვადასხვა სახის ბეჭდური თუ სარეკლამო პროდუქცია.

**სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:**

1990 წ. ლ. რჩეულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

1992 წ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთაკონფერენცია.

1995 წ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია.

2004 წ. გის და დზ მომხმარებელთა VI საერთაშორისო კონფერენცია

2007 წ. ვ. ჯობაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

**სემინარებში და გამოფენებში მონაწილეობა:**

1996 წ. თურქეთში (ისტ. ტაო-კლარჯეთში) მოწყობილ ექსპედიციების ქართული ძეგლების ანაზომების გამოფენა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.

1997 წ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა. ფრანკფურტი. გერმანია.

1998 წ. სემინარი კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა დიდ ბრიტანეთში. ლონდონი. დიდი ბრიტანეთი.

1999 წ. სემინარი – „მარკეტინგი და პრომოცია საგამომცემლო საქმეში“, გუდაური, საქართველო.

2000 წ. სემინარი – „საგამომცემლო საქმე“, ლიკანი, საქართველო.

2006 წ. პერსონალური ფოტოგამოფენა – „კაპადოკია“. ი. ჭავჭავაძის სახ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

2008 წ. ფოტოგამოფენა „საბერძნეთი საბერძნეთს მიღმა“. ბაია გალერეა.

**ძირითადი პუბლიკაციები:**

1. „მეცნიერება და ტექნიკა“ 1982, №3. „რკონის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“.
2. „დარბაზი“ №2. „გზად ბეთლემისკენ“
3. „ძეგლის მეგობარი“ 1991, №1. „ზაქაგორის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“
4. „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1991, №4. ნ.ბახტაძესთან ერთად. „კონდამიანის უდაბნო-მონასტრის შესწავლისათვის“.
5. „ძეგლის მეგობარი“ 1992, №1. „აკვედუკი ანუ ბელღარი „ქვახიდა“ სოფ. ხოვლედან“.

6. 1992 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. „თავკავთას წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსის შესწავლისათვის“.

7. „ძეგლის მეგობარი“ 1993, №1. „ეკლესია სოფელ აზმანაში“.

8. 1995 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. „თავკავთას წმ. გიორგის ეკლესიის ორნამენტული დეკორი“.

9. „ძეგლის მეგობარი“ 1996, № 1/92, 2/93. „მოგზაურობა თურქეთში“.

10. სტატიები ენციკლოპედია „საქართველო“ -სთვის.

11. სტატიები – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი 5; 1990 წ.

12. სტატიები – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი 2; 2004 წ.

13. ტურისტულ რუკა – „საქართველო – ძეგლები და ტურისტული მარშრუტები“; 2003 წ.

14. კომპაქტ-დისკი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) – „აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა“; 2006 წ.

15. წიგნი „ნეკრესი – ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის“ (თანაავტორი); 2010 წ.

**საკონტაქტო ინფორმაცია:** ტელ.: (+995 32) 33-42-33, 36-45-90,

899-57-52-64 (მობ.), 851-57-52-64 (მობ.)

ელ-ფოსტა: g_bagrationi@yahoo.com

# CURRICULUM VITAE

**სახელი, გვარი** — *ალექსანდრე მჭედლიშვილი*

**მისამართი** — თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №54, ბ.6; მობ. 899 265162

**დაბადების თარიღი** — 4 აპრილი, 1956, თბილისი

**განათლება** — 1973-1981, სპი, სამოქალაქო მშენებლობის ფ-ტი

**სპეციალობა** — ინჟინერ-მშენებელი

**საქმიანობა**

2004- დღემდე – ასოციაცია "ინჟინრული აზრი"- მთ. კონსტრუქტორი

2006- დღემდე მრავალდარგობრივი ფირმა "ჩემი სახლი". მშემებლობის ექსპერტი;

2000–დღემდე – საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაცია

1998-2004 --შპს "გეო+" - კონსტრუქტორი,

1982-1998 -- სსი"საქსპორტპროექტი"–პროექტის მთავარი ინჟინერი

**განხორციელებული და მიმდინარე პროექტები**

- ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის რეკონსტრუქცია (2002-03);
- ბაკურიანში სასტუმრო "ყაზბეგი" (2002);
- ქ. თბილისში, ზ.ფალიაშვილის 1. №№80, 90, 92 მრავლსართულიანი საცხ. სახლები (2004-06)
- ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩაზე ფირმა "გრები"-ს ოფისი (2005-06)
- ქ. თბილისი, გ.აბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუცია (2006-07);
- ქ. თბილისი, არმაზის ქ. №27/12 მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2006);
- ქ. თბილისი, ალ.დიუმას ქ. №13-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2006);
- ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2007);
- ქ. თბილისი, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2007);
- ვერის პარკში მდებარე ჩოგბურთის კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია (2006-2007);
- ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №4 "ქარვასლის" შენობის რეკონსტრუქცია, (2007-2008)
- თეთრიწყაროს რ-ნი, ჩხიკვთას სიონის ეკლესიის რეკონსტრუქცია (2008);
- ალფერდის მონასტრის მარნის პროექტირება-მშენებლობა (2007);
- შორეთის მონასტრის რესტავრაცია - 2007 წ.
- ქ. თბილისი, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2008);
- მესტიაში, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009-2010);

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **დავით შანიძე** |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 25 იანვარი, 1942, თბილისი |
| მისამართი | თბილისი, ნიკოლაძის ქ. №11 |
| განათლება | 1966-1968 - თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, გეოგრაფიის ფაკულტეტი<br>1968-1972 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოლოგიურ-გეოგრაფიის ფაკულტეტი |
| სპეციალობა | გეოლოგი |
| საქმიანობა | 1980–დღემდე – სსი "საქსოფლმშენი" , პარტიის უფროსი<br><br>1975-1980 – – უფროსი ჰიდროგეოლოგი<br><br>1972-1975 – – ინჟინერ-გეოლოგი |
| განხორციელებული და მიმდინარე პროექტები | - "წითელი ხიდის" სასაზღვრო საგუშაგოს პროექტი;<br>- პოთის სასაზღვრო საგუშაგოს პროექტი;<br>- ქ.ქ. ჭიათურასა და კრწანისში სათბური კომბინატების წყალმომარაგების პროქტი;<br>- ახალციხის, ოჩამჩირის, თამარირის, გომის მეფრინველეობის მეურნეობის წყალმომარაგების პროექტი;<br>- მარნეული და წნორის რნ-ბის მიწების დაშრობის პროექტი |
| ენების ცოდნა | ქართული – მშობლიური; რუსული - კარგად; |

# ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლოს წინასწარი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

## 1. მდებარეობა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა



თერჯოლის რაიონში, ოქონის სერის ძირში, ზღვის დონიდან 365 მ-ის სიმაღლეზე, სოფ. ჩხარში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია. ისტორიული წყაროების ცნობით, გვიან შუა საუკუნეებში ჩხარი იმერეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა, ის ასევე, სავაჭრო ქალაქად იხსენიება, სადაც ამ მიზნით სომეხი და ებრაელი მოსახლეობა იყო ჩასახლებული. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული იყო წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი წმინდა ნაწილები, ჭედური და ფერწერული ჯვარ-ხატები – ე.წ. სადგერ-ჩხარის ჯვარი, ნაქარგობა – გარდამოხსნა, წმ. საბას კარედი ხატი და სხვა სიწმინდეები (ამაზე წერდნენ ასევე რუსი ელჩები 1650-52 წწ. ალექსი ევლეევი და ნიკიფორე ტილოჩანოვი, ვახუშტი ბატონიშვილი...). ეკლესიას გარს არტყავს ქვითკირით ნაგები გალავანი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ზომის, სამსართულიანი, სამრეკლოა ჩართული. მას ვ. ბერიძე იხსენიებს გვიან შუა საუკუნეების ძეგლებთან ერთად და მე-17-18 სს.-ის ნაგებობად მიიჩნევს.

## 2. არსებული მდგომარეობა



სამრეკლოს პირველი სართული მონასტრის ტერიტორიაზე შესასვლელ კარიბჭეს წარმოადგენს. გეგმაში მართკუთხა ნაგებობა ჩრდილო-სამხრეთის ღერძზეა ოდნავ წაგრძელებული. მეორე სართულზე მცირე სამლოცველოა მოწყობილი. მესამე სართულზე არსებული ფანჩატურიდან კი მხოლოდ წრიული სარტყელი და ერთ-ერთი თაღშორისი ბურჯის ქვედა ორი ქვაა შემორჩენილი.

პირველ სართულზე აღმოსავლეთით და დასავლეთით გარედან შემოსასვლელი თითო-თითო კარია გაჭრილი, რომელთაგან აღმოსავლეთისა გარედან მართკუთხაა, ხოლო შიგნიდან თაღოვან ნიშაშია მოქცეული. დასავლეთის კარი კი გარედანაც და შიდა მხრიდანაც თაღოვანია. სამხრეთის კედელში ფართო, შეისრულთაღოვანი ნიშაა შეჭრილი. ასეთივე ფორმის ნიშაში, ჩრდილოეთ კედელში, თაღოვანი კარია გაჭრილი, საიდანაც ვიწრო გვირაბში მოწყობილი ქვის კიბის საშუალებით, ჯერ მეორე სართულზე ვხვდებით, შემდეგ კი ამჟამად მორღვეულ მესამე სართულზე ავღმოჩნდებით. პირველ სართულზე ორი ქვის ბაზისი ძევს, რომლებიც აშკარად გარედანაა შემოზიდული (სავარაუდოდ წმ. გიორგის ეკლესიისა უნდა იყოს). სართულის გადახურვა გუმბათოვანია, რომელიც კუთხეებში არსებულ იმპოსტებზე გადაყვანილ შეისრულ თაღებზეა დაბჯენილი.

თაღებს შორის ასევე სამკუთხა ფორმის ტრომპ-აფრებია გამოყენებული. გუმბათი ვიწროდ დახერხილი ქვითკირის ქვებითაა ამოყვანილი.

მეორე სართულის აღმოსავლეთ მხარეს საკურთხეველია. ოთხივე კედელი შეისრულთაღოვან, ფართო ნიშებს წარმოადგენს. სამხრეთ კედელში მართკუთხა ფორმის სარკმელია გაჭრილი. დასავლეთით თაღოვანი კარია, ხოლო აღმოსავლეთით, აფსიდში, თაღოვანი სარკმლის მარცხნივ მცირე ნიშია მოწყობილი. სართულის გადახურვა აფრებზე





დაყრდნობილ თლილი ქვით ამოყვანილ, სფერულ გუმბათს წარმოადგენს.

ამჟამად აღარ არსებულ მესამე სართულის ბაქანზე სამხრეთის მხრიდან ვხვდებით.





სამრეკლოს პერანგის ქვები, საკმაოდ სუფთად თლილი ქვების ჰორიზონტალურ რიგებს წარმოადგენს. ჩრდილოეთ ფასადი სადაა. სამხრეთისაზე მხოლოდ მეორე სართულის სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადები კი ჭარბადაა შემკული არქიტექტურული დეკორით – ნახევარწრიული ლილვებით, ორნამენტული სარტყლებით, თაღოვანი ნიშებით, გლუვი, ოდნავ შეზნექილი კარნიზით. სარკმელები ორნამენტული დეკორითაა მოჩარჩოებული. კედლის სიბრტყეთა დეკორატიული კომპოზიცია ხაზგასმულად სიმეტრიულია ცენტრალური ღერძის მიმართ. კარებების თავზე ორნამენტული ჯვრებია გამოკვეთილი; მათ ზემოთ კი გვიანი შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ სკულპტურაში ხშირად



გამოყენებული ჯაჭვით დაბმული ლომების რელიეფური გამოსახულებებია. კედლები სრულდება გეგმაში ჯვრული ფორმის ორქანობიანი ფრონტონებით, რომელთა ზემოთ სავარაუდოდ სამრეკლოს ფანჩატური უნდა ყოფილიყო აღმართული.

### 3. გადასაწყვეტი ამოცანა

სამრეკლოს სართულშუა გადახურვა ჩამოქცეულია. მისი აღდგენისას სასურველი იქნება იმ ქვის წყობის სურათის შენარჩუნება, რომელიც ჯერ კიდევ გადარჩენილ ფრაგმენტებში იმზირება. მორღვეულ ზედა სართულზე ასასვლელი დერეფანი და კიბე მოსაწესრიგებელია ისე რომ არც მხატვრული სახე დაიკარგოს და თან ტექნიკურადაც გამართული იყოს ჰიდროიზოლაციის მხრივ. ძეგლის ვერტიკალური ბზარი ისე უნდა შეიკრას, რომ შემკვრელი კონსტრუქცია ფასადზე შეუმჩნეველი დარჩეს.

### 4. მოძიებული საარქივო და ბიბლიოგრაფიული მასალა


1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ. 1941, გვ. 153
2. პ. ალისუბანი (შორაპნის მაზრა//გაზ. „ივერია".-1903(27 ივნ.).-№159.-გვ.2-3. ჩხარის ეკლესიის სიძველეთა შესახებ.
3. ბოჭორიძე გ. იმერეთის ისტორიული ძეგლები.-თბ.,1995.-გვ.197-199. მოკლე ცნობა ჩხარის წმინდა გიორგის სახ. ნაშთის სახით შემორჩენილი ეკლესიის შესახებ. გადარჩენილ სიძველეთა აღწერილობა.
4. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიცის დღიური //ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები.I..-თბ.,1964.-გვ.10-13. მოკლე ცნობები ჩხარის ეკლესიის, სამრეკლოს, ციხისა და მეფის სასახლის შესახებ.
5. ვახტანგ ბერიძე, XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ. 1994, გვ. 113, ტაბ. 76
6. კობა ხარაძე, ჩხარი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი), თბ. 2001, გვ. 85-87
7. კობა ხარაძე, ჩხარის წმინდა გიორგის მონასტერი, თბ. 2003
8. ჩხარის კომპლექსი //მუზითიძე ვ. ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები.-თბ.,2012.-გვ.177-178. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

# თერჯოლას მუნიციპალიტეტი.
# წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო



სარეაბილიტაციო ობიექტი – სამრეკლო დგას სოფ. ჩხარის ძველი სასაფლაოს ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში. ნაგებობა სამსართულიანია. პირველი სართული კარიბჭეს წარმოადგენს, მეორე სართული სამლოცველოს, აღმოსავლეთ კედელში, თაღოვან ნიშაში მოწყობილი აფსიდითა და კონქით, მესამე სათული კი სამრეკლოს ფანჩატური იყო, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

სადღეისოდ ნაგებობა, ფანჩატურის გარეშე, თითქმის სრულადაა შემონახული. თავისი არქიტექტურით იგი XVII-XVIII ს-ბის უნდა იყოს, თუმცა ამ პერიოდის სამრეკლოთაგან, თავისი სტრუქტურითა და მხატვრული გადაწყვეტით, განსაკუთრებით გამორჩეულია. ჩრდილოეთისა



და სამხრეთის ფასადები სრულიად სადაა, დეკორის გარეშე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები კი ერთმანეთის იდენტურია და განსაკუთრებული გულმოდგინეობითაა გამშვენებული:

ფასადური, ცენტრალური ნაწილი აქცენტირებულია ერთმაგი ვერტიკალური და ჰორიზონტალური თაროებით შედგენილი ორნაწილიანი სწორკუთხა ჩარჩოთი, რომელიც ფართის მთელ სიმაღლეს მოიცავს, ფრონტონის ძირამდე. ჩარჩოს თარაზული ზოლები გეომეტრულ-მცენარეული ორნამენტითაა დაფარული.

ფასადების ჩარჩოში მოქცეული ქვედა ნაწილები აღმოსავლური პორტალების სტილშია გადაწყვეტილი, ოღონდ სწორკუთხედში შეისრულის ნაცვლად ნახევარწრიული თაღებია ჩასმული. შესასვლელებიდან აღმოსავლეთის – სწორკუთხაა, დასავლეთის – თაღოვანი; ორივე მოჩარჩოებულია ორმაგი ლილვებით.





შესასვლელების თავზე ორნამენტირებული ჯვრებია (მათგან აღმოსავლეთისა ე.წ. „განედლებული“ ჯვარია) მათ თავზე, ხოლო ზედა სართულის სარკმლების სწორკუთხა მოჩარჩოება მდიდრული გეომტერიული ორნამენტითაა დამშვენებული.





კედლების საპირე წყობა ინტერიერშიც და ფასადებზეც სუფთად თლილი კირქვის კვიდრებითაა ნაწარმოები. წყობა მაღალი ხარისხისაა, თარაზული რიგებით, წმინდა ნაკერებით.





პირველი სართულის ინტერიერი წმინდა აღმოსავლურია, ოთხივე კედელზე ორმაგი შეისრული თაღებით მოწყობილი ღრმა ნიშებით. შესასვლელი აღმოსავლეთ და დასავლეთ ნიშებშია. ჩრდილოეთ კედლის ნიშაში თაღოვანი ღიობია, რომლითაც II სართულზე, ასასვლელ კედელში მოწყობილ კიბეზე ვხვდებით. თაღებს შორის კუთხეებში სამკუთხა ფორმის აფრებია, რითაც გუმბათის საფუძველია შექმნილი. აღსანიშნავია, რომ ინტერიერის კედლები თაღების ქუსლებამდე სუფთად თლილი სწორკუთხა კვადრებითაა ნაგები, თაღები, აფრები და გუმბათი კი, საგანგებოდ დამუშავებული, აგურისებრად დაჭრილი

ქვებითაა ნაწარმოები. გუმბათისა და აფრების წყობა თევზის ფხისებურია, რაც განსაკუთრებულ მხატვრულ იერს ქმნის ინტერიერში.

მეორე სართულის ოთხივე კედელიც თაღოვანი ნიშებითაა. მათგან აღმოსავლეთ ნიშაში აფსიდი და კონქია გამოყვანილი, აფსიდის ჩრდილო ნაწილში სწორკუთხა ნიშით. სარკმლები აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედელშია გაჭრილი.







ფანჩატურზე ასავლელი კიბე დასავლეთის და სამხრეთის კედელშია ჩამონტჟებული.

მეორე სართულს ასრულებს მაღალ აფრებზე და თაღებზე დაფუძნებული, I სართულის გუმბათთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირე დიამეტრის ვიწრო და დაბალი გუმბათი.

გარედან ფასადები მოჩარჩოების დონის ზემოთ ვიწროვდება ყოველი მხრიდან და იქმნება ქვედა მართკუთხა ნაწილზე დაფუძნებული თავისუფალი ჯვრის ფორმის მოცულობა, რომლის ცენტრალურ ნაწილში II სართულის გუმბათია განთავსებული. მკლავებს შორის მოქცეულ კვადრატზე შემორჩენილია ფანჩატურის სვეტების ცილინდრული საყრდენის ფრაგმენტები.



## ძეგლის არსებული მდგომარეობა

სადღეისოდ ძეგლის მდგომარება შეიძლება ჩაითვალოს ავარიულად:

1. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ცენტრალურ ქვედა უბნებში, 2-3 სმ-ის სიგანის გამჭოლი ნაპრალებია, რომლებიც ზევითკენ ვიწროვდება და სულ ზევით, ფრონტონების ფარგლებში დასავლეთ ფასადზე, თითქმის აღარ შეიმჩნევა. აღმოსავლეთ ფასადის ზედა უბანში კი დამატებითი ბზარებია განვითარებული. სავარაუდოა, ნაპრალები ძირითადად მიწისძვრის შედეგი იყოს, ზედა ნაწილებში არსებული ბზარები კი ატმოსფერული ნალექების (წვიმა, ყინვა) ზემოქმედებით გამოწვეული.
2. აღმოსავლეთ პორტალის თაღის ქვა, ცენტრალურ ნაწილში, ნაპრალის მიმდებარედ – ჩამოვარდნილია. გახეთქილია არქიტრავის ქვაც.
3. ამოქოლილია აღმოსავლეთის შესასვლელი, ალბათ კედლის გამაგრების მიზნით.
4. დაძრულია (ჩამოწეულია) დასავლეთი შესასვლელის თაღის ჩამკეტი ქვა, ნაკერი თაღისა და კედელს შორის გახსნილია.
5. ფასადებზე წყობის ქვების ნაწილი ჩამომდნარია, ადგილებში ნაკერებში ხსნარი გამოქარულია.
6. მორყეულია და დაძრულია ადგილიდან კედლების ზედა უბნების წყობის ქვები.
7. ზედა ნაწილში, თავისუფალი ჯვრის კედლები შეკეთებულია უხარისხო, წვრილი ბუნებრივი ქვით, რომელიც ვიზუალურად ძალიან მოფუშულია.
8. სამრეკლოს ფანჩატურიდან აღარაფერია დარჩენილი, მისი ცილინდრული ფუძიდან კი მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია ადგილზე.
9. კარნიზი ალაგ-ალაგაა შერჩენილი, ორი კარნიზის ქვა აკლია სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან (პროფილი, ლილვი, ფოსო და თარო).
10. ოთხივე ფასადის ზედა ნაწილებში მცენარეებია გახარებული, რომელთაგან გაბუჩქული ლეღვის ხეები განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის კედლებს.
11. პორტალების თაღებთან არსებულ ტუმბოებს აკლია წყობის ქვები. შერჩენილი ქვები მორყეულია.
12. ინტერიერი შედარებით კარგადაა გადარჩენილი, მხოლოდ ჩამოშლილია პირველი სართულის გუმბათის ცენტრალური ნაწილი.
13. იატაკი არ ჩანს, მიწითაა დაფარული. სავარაუდოა მიწის ქვეშ თლილი ქვების ფენილის არსებობა.
14. ნაგებობის გარშემო მიწის დონე მცირედ ამაღლებულია, არ ჩანს ცოკოლი. ორივე შესასვლელის ზღურბლის ქვები გამოვლენილია.

ამდენად, არქეოლოგიური გათხრების ჩატარება არ არის აუცილებელი. საუსრველია მცირე გაწმენდითი სამუშაოების დროს არქეოლოგის თანდასწრება.

ძეგლი თავისი სტრუქტურით, მშენებლობის მაღალი დონით, თავისი ეპოქის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, აშკარად გამორჩეული ნაგე-

ბობაა. ის, რაც შემორჩენილია ადგილზე, იძლევა მასზე გამაგრებითი, დასაბუთებული სარესტავრაციო და ნაწილობრივი სარესტავრაციო სამუშაოების შესაძლებლობას.

იმისთვის, რომ დაზუსტდეს სარესტავრაციო და საკონსარვაციო სამუშაოების ფარგლები და მოცულობები, აუცილებელია ძეგლზე არქეოლოგიურ-არქიტექტურტული ანაზომის ჩატარება. განსაკუთრებით, გამოწვლილვით უნდა იქნეს გამოკვლეული მეორე სართულის ზედა ჯვრული ნაწილი, რაც გამოარჩევს მას ამ ეპოქის და ამ დანიშნულების სხვა ნაგებობებიდან.

ძეგლის გასაჯანსაღებლად შემდეგი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო:

1. საძირკვლების შემოწმება გეოლოგიურ-საინჟინრო დასკვნით და რეკომენდაციებით.
2. ნაპრალების ლიკვიდაციისთვის კონსტრუქციულ-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.
3. გამოქარუი ნაკერების სუფთად გამოჭედვა კირის სქელი ხსნარით.
4. კედლებზე გახარებული ხეების ლიკვიდაცია შეწამვლითა და ამოძირკვით.
5. გვიანდელი უხარისხო შეკეთებების მოხსნა და აღდგენა სუფთად თლილი კირქვით. კარნიზების მოწყობა.
6. კედლების გამოქარული უბნების ინექცირება კირის თხელი ხსნარით.
7. ნაპრალის ლიკვიდირების შემდეგ ამოქოლილი შესასვლელის გახსნა და აღმოსავლეთის არქიტრავის გამაგრება.
8. დამუშავებული პროექტის მიხედვით ფანჩატურის საყრდენი ცილინდრის აღდგენა და მისი გადახურვა.
9. ინტერიერში გუმბათის ჩამოშლილი უბნის აღდგენა არსებულის იდენტური მასალითა და წყობით.
10. ძეგლის ირგვლივ და ინტერიერში დანალექი მიწის ფენის მოხსნა, ცოკოლის გამოვლენა და წყლის გადაყვანის ორგანიზება.

## კვლევითი-საპროექტო სამუშაოების ეტაპები:

1. ჯგუფის გასვლა ობიექტზე და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის შესრულება.
2. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.
3. ანაზომის გამოხაზვა.
4. ანაზომის საფუძველზე გამაგრებითი, სარესტავრაციო და ნაწილობრივ საკონსერვაციო პროექტის დამუშავება.
5. კონსტრუქციული გამაგრების პროექტი.

თამარ ნემსაძე, რუსუდან გურამიშვილი

# თერჯოლის რაიონში სოფ. ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლოს შენობაზე არსებული ბზარების წარმოშობის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.

ჩხარის წმ. გიორგის სახ. ეკლესია მდებარეობს ე.წ. ოქონის სერის ძირში. იგი მიიჩნევა მე-17-18 საუკუნის ნაგებობად.

დღეისათვის სამრეკლოს შენობა შუა ნაწილში გამსკდარია და იგი დაძრულია ფერდის დაქანების მიმართულებით.

რ-ნი, გეოლოგიური თვალსაზრისით, თითქმის მთლიანად აგებულია იურული ასაკის კირქვებით, რომელიც ზედაპირის სიახლოვეს გამოფიტულია და დანაწევრებულია ბლოკებად. ქანებს შორის სივრცე შევსებულია თიხოვანი მასით.

ვინაიდან რაიონი ხასიათდება საკმაოდ მაღალი ტენიანობით, ქანებს შორის არსებული დატენიანებული თიხები ხელს უწყობს გამოფიტვის პროცესის დაჩქარებას.

არსებული სამრეკლოს საძირკველი სავარაუდოდ, ლენტური ტიპისაა. შენობის დაზიანებისა და მისი გამაგრების ზუსტი ღონისძიების დასადგენადაუცილებლად მიგვაჩნია სამრეკლოს საძირკვლის გახსნა და შესაბამისად გამაგრებითი ღონისძიებების დასახვა.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ, ᲩᲮᲐᲠᲘᲡ ᲝᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲝᲡ

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲖᲔ

მე (საქართველოს კონსტრუქცტორთა ასოციაციის წევრი ა. მჭედლიშვილი) ვიმყოფებოდი თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხარში აღნიშნული სამრეკლოს შესასწავლად.

იგი წარმოადგენს ოთხკუთხა ორსართულიან ნაგებობას, მისი მზიდი კონსტრუქცია ქვის კაპიტალური კედლებია, რომელიც აშენებულია ნაწილობრივ ნათალი, ნაწილობრივ კი ფლეთილი ქვისაგან. სართულშუა გადახურვები მოწყობილია კერამიკული აგურის გუმბათოვანი კონსტრუქციებით. სამრეკლოს ზედა ნაწილი, რომელიც მოწყობილი იყო მეორე სართულის თავზე, მთლიანად მოშლილია და არ დგინდება მისი სიმაღლე, შენარჩუნებულია წრიული ძირი. სართულებზე საკომუნიკაციოდ მოწყობილია ქვის კედლებში კიბე, რომელიც I სართულიდან ადის II სართულზე და სამრეკლოზე და შენარჩუნებულია სრულად.

ტაძარი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ოთხკუთხაა, თითქმის კვადრატული და გადამსკდარია შუაზე. ბზარების დახასიათებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აქ საქმე გვაქვს არა ფუძის ჯდომის, არამედ მოცურების პროცესთან. სავარაუდოდ, შენობის საძირკველი ყორე ქვის ლენტაა და განლაგებულია კირქვის ძირითად ქანებზე, სადაც შესაძლებელია ზედაპირულმა დაშლამ გამოიწვიოს ასეთი პროცესი. მოცურება კი განხორციელებულია სწორედ ფერდოს მიმართულებით, რამაც გამოიწვია შენობის შუაზე ხლეჩვა. (მოცურება ზედაპირულია).

ჩემი მოსაზრებით, აქ დაუშვებელია საძირკვლების დაღრმავება – გაგანიერება, რაც გამოიწვევს ძეგლის კიდევ უფრო დაზიანებას, აქ აუცილებელია მოცურებითი პროცესის შეჩერება, რაც შესაძლებელია საძირკვლების გარედან მოცურების მხარეს შპუნტური ხიმინჯებისა და რ/ბ-ის მონ. გადამკეტი კოჭის მოწყობით, რომელიც მიწაში ჩაიმალება და არ დააზიანებს ძელიდ იერსახეს.

შენობის შეკვრა რეკომენდირებულია ბურღვითი დაარმირების მეთოდით, ორ დონეზე შენობის განივი მიმართულებით, რაც არ აისახება ფასადებზე უცხო ელემენტების გაჩენით, შენობის მზიდუნარიანობას კი გარკვეულ წილად გაზრდის.

ამის შემდგომ აღსადგენია I სართულის გადახურვის კონსტრუქცია, რისთვისაც აუცილებელი იქნება ხის ქარგილების მოწყობა, რაზეც უნდა ისევ ძველებული მეთოდით აშენდეს თაღოვანი კონსტრუქცია. კარგი იქნება, თუ ამ გადახურვის კონსტრუქციას ზევიდან გავაძლიერებთ ერთმაგი არმირებული თხელი ჰ=10 სმ

ფილით, რომელიც ანკერებით დაკავშირდება თაღოვან კონსტრუქციასთა და დაიცავს მას შემდგომი დაზიანებებისაგან, ზევიდან კი დაიფარება ქვის ან აგურის იატაკით ან თიხატკეპნილით.

სამრეკლოს დაშენება, როგორც ავღნიშნეთ, იმყოფებოდა II სართულის გადახურვის თავზე, გადახურვის კონსტრუქცია დღეისათვის მთელია, მაგრამ ეტყობა რესტავრაციის უხეშად ჩარევა, ზევიდან მთელი სახურავი გადაბეტონებულია კონსერვაციის მიზნით. თაღოვანი გადახურვაც ქვევიდან არ გამოიყურება ორიგინალად, შესაძლოა იგი აღდგენილიც იყოს სწორედ ამ კონსერვაციის მცდელობის დროს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსუბუქი ჩარევებით შესაძლებელია ძეგლს არ დავუკარგოთ იერსახე, არ გაჩნდეს მის ტანზე უცხო სხეულები, ყოველი ელემენტი იყოს დაფარული კედლებსა და გადახურვებში და შევძინოთ მას მეტი მდგრადობა.

კონსტრუქტორი ა. მჭედლიშვილი